41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება
GEORGIAN DREAM

ძვირფასო ადიგენელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ადიგენის მერობის კანდიდატისა და ადიგენის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ადიგენის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ადიგენი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ადიგენის მუნიციპალიტეტი

ეკონომიკა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ადგილობრივი ბიუჯეტი

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ადიგენის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 3,48 მლნ იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 6,02 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს ადგილობრივი ბიუჯეტი სულ 4 მლნ 895 ათასი ლარი იყო, 2021 წელს 10,03 მლნ ლარს აჭარბებს.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, სახელმწიფომ, 2013-2016 წლებში, მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამით, დაახლოებით 8 (რვა) მილიონი ლარი დახარჯა. 2015-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამით **„დანერგე მომავალი“** 7 ჰა-ზე 21 პროექტი განხორციელდა (ჯამური ინვესტიცია 175 128 ლარი). **აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამით,** 2014-2021 წლებში, ჯამურად, 274 ჰა დაიზღვა (მოსავლის ღირებულება 3 656 022 ლარი), რითაც 333-მა ბენეფიციარმა ისარგებლა, სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გაცემულია 31 150 ლარი. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეისათვის მოქმედებს 21 კოოპერატივი (გაწევრიანებულია 238 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი – 3 229 230 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტის** პროგრამით, 2013-2021 წლებში, ჯამურად 12 547 288 ლარის პროექტები განხორციელდა (სახელმწიფოს თანამონაწილეობა 1 676 734 ლარი), რითაც 455-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელებული 4 პროექტის ჯამური ინვესტიცია 120 872 ლარია, თანადაფინანსება 48 349 ლარი. 2020 წლიდან ხორციელდება ორი სახელმწიფო პროგრამა – **მერძევეობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამით** 53 პროექტი განხორციელდა (ჯამური ინვესტიცია 1 863 156 ლარი, თანადაფინანსება 1 396 833 ლარი) და **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამით** – 3 პროექტი (ჯამური ინვესტიცია 77 500 ლარი, თანადაფინანსება 38 750 ლარი). მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამით, 2021 წელს, ადიგენის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა 6 პროექტი, რომლის სავარაუდო ჯამურმი მოცულობა 192 000 ლარია (თანადაფინანსება 96 000 ლარი). 2013-2020 წლებში, **სამელიორაციო სამუშაოებზე** ადიგენში 84 187 ლარი დაიხარჯა. 2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია (თურქულის, ჯილეხის, ბრუცელოზის, მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტის, ცოფის საწინააღმდეგოდ), ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებას და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც, მომდევნო 4 წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტში რამდენიმე ასეულ ახალ სამუშაო ადგილს შექმნის და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;

ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.

მეწარმეობის განვითარება

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

ადიგენის მუნიციპალიტეტში, პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“** 222 360 ლარით დაფინანსდა 1 საწარმო. **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით**, „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 480 011 ათასი ლარის გრანტი გაიცა და განხორციელდა 612 632 ათასი ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 72 პროექტი (ბიზნესის გაფართოების მიზნით – 41, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად – 31 პროექტი).

მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;

ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;

წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა.

ენერგეტიკა

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2014-2021 წლებში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, **აშენდა** 2 ჰიდროელექტროსადგური (ფარავანი ჰესი და დვირულა ჰესი), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 88,53 მეგავატს შეადგენს, ხოლო წლიური გამომუშავება 420 მლნ კვტ/სთ. **მშენებლობის ან ლიცენზირების ეტაპზეა: მტკვარი ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 53 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 230 მლნ კვტ/ სთ, ინვესტიცია 115 მლნ აშშ დოლარი); **ახალქალაქი ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 7,5 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 39,2 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 20 მლნ აშშ დოლარი); **ახალქალაქი ჰესი 2** (დადგმ. სიმძლავრე 1,6 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 9,8 მლნ კვტ/ სთ, ინვესტიცია 5,5 მლნ აშშ დოლარი); **ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა: ანდეზიტ ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 1,1 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 4,3 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 1,6 მლნ აშშ დოლარი); **ტაშისკარი ჰესი** (დადგმ. სიმძლავრე 0,9 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 6,9 მლნ კვტ/ სთ, ინვესტიცია 1,5 მლნ აშშ დოლარი); **პლატო ჰესი-ბორჯომჰესი** (დადგმ.სიმძლავრე 11,8 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 43,3 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 13,6 მლნ აშშ დოლარი); **არაკალი ჰესი (**დადგმ. სიმძლავრე 1,9 მეგავატი, სავარაუდო გამომუშავება 14,1 მლნ კვტ/სთ, ინვესტიცია 3,7 მლნ აშშ დოლარი);

ადიგენის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 1899 აბონენტი. 2022-2023 წლებში, იგეგმება 3 სოფლის (წახანი, წახნისწყარო, წრე) გაზიფიცირება (195 აბონენტი). 2013-2017 წლებში, 3 358 აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი**, 2014 წელს ელექტროენერგიის მიწოდების ქსელში ჩაერთო სოფელ უტყისუბნის 18 მოსახლე. ამ ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგებულია.

ტურიზმი

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განვითარების მიზნით, ადიგენში განხორციელდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მიმდინარეობს ტურისტული მარშრუტების კვლევა. ამჟამად განხორციელების ფაზაშია **კურორტ აბასთუმნის რეაბილიტაციის პროექტი:** საკურორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, განსაზღვრულია აბასთუმნის მიწისქვეშა კომუნიკაციის სრული რეაბილიტაცია. დაგეგმილია შოშხოთთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისა და ოქროს ციხის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დამატებით 10 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება.

„ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის, ქვეყანას 10 მლნ მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;

2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

ადიგენის მუნიციპალიტეტში, 2020 წელს დაიწყო **ტყის ინვენტარიზაცია** და მომზადდება ტყის მართვის გეგმა 10 წლიანი პერიოდისთვის. 2012 წლიდან მიმდინარეობს ნაძვის ხმობის გამომწვევი მავნე მწერის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები ფერომონი-

ანი მწერსაჭერების გამოყენებითა და სანიტარული ჭრებით.

2013-2020 წლებში, ადგილობრივ მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 75 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.** 2014-2021 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ხე-ტყის ორგანიზებული დამზადების ფარგლებში, დამზადდა 16 894,4 კუბური მეტრი ხე-ტყე. ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული ხე-ტყის დამზადების ღონისძიებები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას, ბაზარზე ხე-ტყის ხელმისაწვდომობასა და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას.

სამომავლოდ გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება;

გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და ოჯახების (კომლი) საკარმიდამო ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურული ობიექტები, გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;

გაგრძელდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება და ეფექტიანობის ამაღლება, დაგეგმილია ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა დარღვევათა პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით („ცხელი წერტილების“ კონტროლი სამეთვალყურეო კამერებით, ახალი თაობის დრონების გამოყენებით და სხვა);

გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;

ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, ადიგენის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, ადიგენში, **ადგილობრივი მნიშვნელობის გზების** რეაბილიტაციისა-მშენებლობაზე ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 21 მლნ ლარამდე დაიხარჯა. **სტიქიის შედეგად** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 1.6 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში, მუნიციპალიტეტის ინტერნეტით უზრუნველყოფის მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, ადიგენის 20 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 1 452 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, ადიგენის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად 11 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2021-2023 წლებში დამატებით 13,3 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება წყალმომარაგების შემდეგი პროექტები: კურორტ აბასთუმნის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია/მშენებლობის II ეტაპი და არაზინდოს დასახლების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა (3 899 280 ლარი); დაბა აბასთუმნის მოსახლეობის წყალარინების ქსელზე დაერთების, არსებული საფილტრო სადგურის ოპტიმიზაციისა და წყალმომარაგების სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოები (1 964 922 ლარი); კურორტ აბასთუმნის წყალარინების გამწმენდი ნაგებობების პროექტირება-მშენებლობა (7 420 000 ლარი).

2021-2022 წლებისთვის ადიგენის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფელ უდის საუბნო (სასაფლაომდე მისასვლელი გზა) გზების რეაბილიტაცია – პროექტის ღირებულება 849 999 ლ;
- სოფ. საირმე-ჭელის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (ხიდის მშენებლობა) I ეტაპი – 787 900 ლ;
- ბათუმი-ახალციხის გზიდან მლაშე-მოხის დამაკავშირებელ გზამდე ადგილობრივი მნიშვნელობის გზისა და ხიდის რეაბილიტაცია (ხიდის მშენებლობა) I ეტაპი – 571 111 ლ;
- დაბა ადგენში, სკოლის მიმართულებით ასასვლელი კიბეების რეაბილიტაცია – 136 000 ლ;
- ხევაშენი-უნწის ხევზე სახიდე გადასასვლელის მშენებლობა – 69 900 ლ;
- დაბა ადიგენში, რუსთაველის ქ. №3-ის მიმდებარედ, ჭულეს ხევზე სახიდე გადასასვლელის მშენებლობა – 98 630 ლ;
- სოფ. მოხე-კეხოვანის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის მოწყობა – 65 793 ლ;
- სოფ. ციხისუბანსა და ჭეჭლაში გარეგანათების მოწყობა – 56 543 ლ;
- სოფ. ვარხნის შიდასაუბნო ბეტონის გზის მოწყობა (III მონაკვეთი) – 85 200 ლ;
- სოფ ბენარაში, ახალციხე-ადიგენის და ახალციხე-აბასთუმნის გზაგასაყარის მიმდებარედ, წმ. ანდრიაპირველწოდებულის სტელის მოწყობის მიზნით, საყრდენი კედლების, კიბეების და მოედნის მოწყობა – 124 000 ლ;
- სოფ. კახარეთი-უდის სარწყავი არხის რეაბილიტაცია – 76 355 ლ;
- სოფელ უდეს სასმელი წყლის შიდაქსელის რეაბილიტაცია – 367 741 ლ;
- სოფელ ქვემო ენთელის სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია, რეზერვუარისა და გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა – 234 736 ლ;
- „კურცხანის” სასმელი წყლის გამწმენდი ნაგებობისა და სალექარის მშენებლობა /რეაბილიტაცია I -II ეტაპი – 621 150 ლ;
- სოფ. ვარხანსა და ზემო ენთელში შიდასაუბნო გზების რეაბილიტაცია – 288 772 ლ;
- სოფ. უდეში, სოფელ არალსა და ლელოვანში შიდასაუბნო გზებზე საყრდენი კედლების მოწყობა – 188 800 ლ;
- სოფელ უდეში ზაზათუბნის გზის რეაბილიტაცია I ეტაპი – 498 992 ლ;
- სოფელ ჩორჩანის საუბნო გზების რეაბილიტაცია (I ეტაპი) – 433 166 ლ;
- ციხისუბანი-ღორთუბანი-ზედუბანი-აფიეთის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია – 2393466 ლ;
- დაბა ადიგენის ცენტრის რეაბილიტაცია – 800 000 ლ.

ᲒᲝᲩᲐ ᲥᲘᲛᲐᲫᲔ: „ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲔᲚᲔᲑᲡ 24-ᲡᲐᲐᲗᲘᲐᲜ ᲨᲠᲝᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲡ ᲕᲞᲘᲠᲓᲔᲑᲘ!“

ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲨᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚ-ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲒᲝᲩᲐ ᲥᲘᲛᲐᲫᲔ, ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲧᲝ – ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲟᲝᲠᲘᲢᲐᲠᲘ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲗ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ. „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲔᲚᲔᲑᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐᲡ. ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲔᲑᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘᲪ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ – ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ 24 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ!

ᲒᲝᲩᲐ ᲥᲘᲛᲐᲫᲔ: – ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურში, პატიოსანი და მშრომელი ადამიანების ოჯახში დავიბადე. ვამაყობ, რომ ჩემს მშობლებს დღემდე ასე მოიხსენებენ. დედა – ვენერა ასანიძე, დიასახლისი იყო. მამა – პავლე ქიმაძე კი, სხვადასხვა დროს, კოლმეურნეობაში ფერმის გამგეც იყო, საწყობის გამგეც და სოფლის ბრიგადირიც. 2 ძმა და ერთი და მყავს. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფრით უზრუნველყოფილები ვიყავით, მაგრამ ლაღი ბავშვობა გვქონდა. დედას 4 კლასი ჰქონდა დამთავრებული და მუდმივად მუშაობდა საკუთარ თავზე – ბევრს კითხულობდა. ერთხელ ვკითხე, სკოლა რატომ არ დაამთავრე-მეთქი. მეოთხე კლასის შემდეგ, დახეული კაბით სკოლაში სიარულის მრცხვენოდა და ამიტომ ვერ ვისწავლეო, გულდაწყვეტით მითხრა. თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე, მუდმივად ცდილობდა, ისეთი პრობლემა არ გვქონოდა, რომ სკოლაში მისვლის შეგვრცხვენოდა. მისი მთავარი მოთხოვნა იყო, ოთხივეს კარგად გვესწავლა.

სკოლა ადიგენში დავამთავრე. ყველაზე მეტად ქიმია და ბიოლოგია მიყვარდა. მშობლები კლასგარეშე ლიტერატურის კითხვასაც გვთხოვდნენ – ზაფხულობით მამა აგვირჩევდა რაიმე წიგნს, მოგვცემდა გარკვეულ დროს, აუცილებლად უნდა წაგვეკითხა და ჩაგვებარებინა. ჩვენ კი გვერჩივნა ეზოში თამაში და ცელქობა, მაგრამ დედამ პრინციპი შეიმუშავა, რომლითაც კითხვას „გვაიძულებდა“ – გვეტყოდა: „ან წიგნი, ან თოხი! არ გინდათ, იკითხოთ? ადექით, თოხნეთ!“ აი, თოხნას კი ნამდვილად გვერჩივნა კითხვა. დედის დამსახურებაა, ოთხივე შვილმა განათლება რომ მივიღეთ. თუმცა როცა წამოვიზარდეთ, შრომაც არ გვაკლდა და საოჯახო მეურნეობის განვითარებაში წვლილი შეგვქონდა. ზაფხულის არდადეგებზე კი კოლმეურნეობასაც ვეხმარებოდით. სხვათა შორის, მე-8 კლასში ვიყავი, პირველი ხელფასი რომ გამოვიმუშავე.

– მოსწავლემ სად იმუშავეთ და პირველი ხელფასი რაში დახარჯეთ?

– მაშინ დიდი, „ბაბინებიანი“ მაგნიტოფონები იყო და ძალიან მინდოდა მქონოდა. მერვე კლასი რომ დავამთავრე, მამამ მითხრა, გინდა მაგნიტოფონი? შეგიძლია შენი შრომით შეიძინოო. 2 თვე ვიმუშავე სოფელ ვარხანში, სკოლის სარემონტო სამუშაოებზე დამხმარე მუშად. ჩემი საქმე ცემენტისა და ქვიშის მორევა იყო. სათქმელად მარტივია, მაგრამ იმ ასაკში, ფაქტობრივად, მთელი ზაფხული, მზის გულზე შრომა, საკმაოდ რთული იყო. 500 მანეთამდე უნდა ამეღო ხელფასი და მხოლოდ 200 მანეთი მომცეს. ამ ფულით, 160-მანეთიანი მაგნიტოფონი ვიყიდე. არასდროს დამავიწყდება ჩემი შრომით შეძენილი პირველი ნივთი, თუმცა ისიც მახსოვს, როგორ დამწყდა გული, როცა ანაზღაურება დამაკლეს. ეს ჩემი პირველი იმედგაცრუება იყო. მომდევნო გულისწყვეტა უკვე თბილისში მელოდა, სადაც სასურველ ინსტიტუტში ვერ ჩავირიცხე, მაგრამ სამაგიეროდ ვისწავლე, რომ ცხოვრებაში, როგორი მარცხიც არ უნდა იგემო, ბრძოლა უნდა გააგრძელო. ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში ვაბარებდი. სკოლაში მიღებული ცოდნით გავედი გამოცდებზე. ქულა დამაკლდა და ვერ ჩავირიცხე. რის შემდეგაც სწავლა გავაგრძელე პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელში. პარალელურად ვემზადებოდი პედაგოგებთან, რათა მეორე წელს ისევ გავსულიყავი გამოცდებზე. დიდი შრომის შემდეგ ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე.

– თავის დროზე რესტორან „ალაზანის“ დირექტორი იყავით. კერძო სექტორით რატომ დაინტერესდით?

– თავიდან მზარეულის დამხმარედ დავიწყე მუშაობა, შემდეგ საქონელმცოდნედ გადამიყვანეს. წარმატებას პატიოსანი შრომით მივაღწიე. ერთ დღესაც, ერთმა უფროსმა მეგობარმა მითხრა, რომ რესტორნის წილი იყიდებოდა. ყოველთვის ფრთხილი ვიყავი, მაგრამ რისკები გავთვალე, წილი ვიყიდე. „ალაზანში“ თავიდან წარმოების უფროსი ვიყავი, შემდეგ დირექტორის მოადგილე და დირექტორი; მოგვიანებით, შპს „ალაზანი“ დავაფუძნე, სადაც 100% წილის მფლობელი ვიყავი.

– თქვენი საქმიანობა, ეროვნული მოძრაობის პერიოდს ემთხვევა. ამ ბრძოლაში თქვენც ხომ არ იყავით ჩართული?

– პოპულარობის განცდა არასდროს მქონია. ყოველთვის საქმის ჩუმად კეთებას ვარჩევ. სიმართლე გითხრათ, ჩემ ცხოვრებაში ასე ხდებოდა – ყოველთვის ვიღაც აღმომაჩენდა ხოლმე. ეროვნულ მოძრაობაში წინა ფლანგზე არ ვყოფილვარ, თუმცა აქციებს ვესწრებოდი. 9 აპრილის მეორე დილა მახსოვს, ერთმა უცნობმა ადამიანმა მთხოვა, სახლში წამალი უნდა მივიტანო და მანქანით გამიყვანეო. ისე გვიყვარდა იმ დროს ქართველებს ერთმანეთი, აბსოლუტურად უცნობ ადამიანს ვენდე და მანქანა ვათხოვე – წარმოიდგინეთ, როგორი ერთიანობის განცდა გვქონდა მაშინ.

– მას შემდეგ გქონიათ ერთიანობის ასეთი განცდა?

– არა, სამწუხაროდ, ჩვენ ასე გვჩვევია – გაჭირვების დროს კაცი ვერ გვჯობნის, ვერთიანდებით, მაგრამ როგორც კი საერთო მტერი აღარ გვყავს, უცებ ვთითოკაცდებით. ლევან სანიკიძეს აქვს ნათქვამი, ქართველი კაცი მოძმეს ტალახში ჩავარდნილს რომ ნახავს, ამოიყვანს, დააპურებს, მოეფერება, გვერდით დაიყენებს, მაგრამ თუ ნახა, მასზე წინ წავიდა, მის კორტნას იწყებსო. პოლიტიკაში მოსვლის მერე, ამ შეფასების ჭეშმარიტებაში, სამწუხაროდ, ბევრჯერ დავრწმუნდი.

– ორი მოწვევის პარლამენტის დეპუტატი იყავით. ბიზნესიდან პოლიტიკაში მოსვლა რამ გადაგაწყვეტინათ?

– სიმართლე გითხრათ, პოლიტიკაში მოსვლაზე არც ვფიქრობდი. მეგობრებმა შემომთავაზეს, ადიგენის მაჟორიტარად იყარე კენჭიო. მაშინ 38 წლის ვიყავი, ჩემი საქმე უკვე აწყობილი მქონდა და ვიუარე, სად პოლიტიკა და სად – მე-მეთქი. მოლაპარაკებების შემდეგ გადავწყვიტე, დამოუკიდებელ კანდიდატად მეყარა კენჭი და რაიონის ამომრჩეველთა აფსოლიტურმა უმრავლესობამ დამიჭირა მხარი. ასე მოვხვდი მეხუთე მოწვევის პარლამენტში. დღეს ვამბობ ხოლმე, დეპუტატობას აწყობილი ბიზნესი შევწირე-მეთქი.

– ბიზნესი დეპუტატობას რატომ შეწირეთ, გადაგებარებინათ ოჯახის წევრებისთვის, ეს ხომ აპრობირებული მეთოდია?

– რთული დასაჯერებელია, მაგრამ პარლამენტში ყოფნის დროს, მხოლოდ ჩემი ადიგენისა და ადიგენელების კეთილდღეობაზე ვფიქრობდი. გაგიმხელთ იმას, რაც ჩემი ოჯახის გარდა არავინ იცის: ისეთი რთული პერიოდი იყო, ოჯახს რომელიმე წევრი საოპერაციო თუ ჰყავდა, სახლ-კარის გაყიდვაც კი უწევდა. არაერთი ადამიანი მთხოვდა ჯანდაცვის სამინისტროსთან შუამდგომლობას. მათ შორის იყო ერთი ახალგაზრდა ადგილობრივი. სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა. მივდიოდი შესაბამის ფონდში თხოვნით, მომქონდა საგარანტიო წერილი, რომლის საფუძველზეც ოპერაციები კეთდებოდა, მაგრამ ბიუჯეტში ფული არ იყო, არ ირიცხებოდა და შეწყდა ოპერაციები. პირდაპირ მივედი მთავარ ექიმთან და დავპირდი, ჩემი ჯიბიდან გადავიხდი, ოღონდ სასიკვდილოდ ნუ გავწირავთ ამ ადამიანს. 700 ლარი მქონდა ხელფასი და 3 ათას ლარამდე იყო გადასახდელი. სიტყვას ვერ გავტეხდი და თანხა გადავიხადე. ეს არ იყო ერთი შემთხვევა, ასეთი შემთხვევები ბევრი იყო და ჩემს ამომრჩეველს ვერ ავუხსნიდი, რომ ბიუჯეტში ფული არ იყო და ნელ-ნელა დავიწყე ჩემი ბიზნესის გაყიდვა, რომ მათ დავხმარებოდი. საბოლოოდ, პარლამენტიდან რომ წამოვედი, ბიზნესი აღარ მქონდა. ვინმესთვის შეიძლება დაუჯერებელია, მაგრამ ასე მოხდა. არც გამიხმაურებია, არ ჩავთვალე საჭიროდ.

მერე იყო ურთულესი პერიოდი, თითქოს ფუნქციას რომ კარგავ, მაგრამ, საბედნიეროდ, გაჭირვებაში იცნობა ადამიანი და გრჩება რამდენიმე მეგობარი, რომლებიც არასოდეს გტოვებენ.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მიხარია, რომ პარლამენტში ყოფნისას ჩემი ადიგენელებისთვის საკმაოდ ბევრი რამის გაკეთება შევძელი. ჩემი მიზანი იყო, ამომრჩეველი ყოფილიყო კმაყოფილი. არაერთი საკანონმდებლო ინიციატივის ინიციატორი ვიყავი.

სხვათა შორის, ისიც მოვახერხე, რომ ოპოზიციურად განწყობილ ადამიანებთან ურთიერთობა დამელაგებინა, რათა საქმის კეთებაში ხელი არ შეგვშლოდა. ყველას ვუსმენდი და რაც შემეძლო ვეხმარებოდი. სულ ახალბედა პარლამენტარი, რომ ვიყავი, ადიგენიდან ოპოზიციურად განწყობილი პედაგოგები ჩამოვიდნენ. ითხოვდნენ, წლების განმავლობაში, დაგროვილი დავალიანების გადახდას. ერთად წავედით ფინანსთა სამინისტროში, მინისტრს ავუხსენი შექმნილი მდგომარეობა და დავალიანების დიდი ნაწილი ჩაურიცხეს პედაგოგებს. ეს იმდროისთვის ძალიან დიდი საქმე იყო.

მე-5 მოწვევის პარლამენტის დამთავრებამდე, მე და ჩემმა მეგობრებმა დავაარსეთ პარტია „საქართველოს რეგიონები“ – სადაც გენერალური მდივნის პოზიცია მეკავა და გავერთიანდით ბლოკი „ახალი საქართველოსათვის“. მეორე ჯერზე, უკვე ამ ბლოკიდან ვიყარე კენჭი მშობლიურ ადიგენში და გავიმარჯვე დიდი უპირატესობით.

– ახლა რატომ გადაწყვიტეთ „ქართული ოცნებიდან“ გეყარათ კენჭი?

– მივიღე შემოთავაზება „ქართული ოცნების“ გუნდიდან. ამ გუნდის მიმართ სიმპათიები ყოველთვის მქონდა და დიდი სიამოვნებით დავთანხმდი მათ შემოთავაზებას.

დავრწმუნდი, რომ „ქართულ ოცნებაში“ პრინციპული ადამიანები არიან, რომლებიც რთულ ვითარებაშიც კი დგამენ სწორ ნაბიჯებს და რა გასაკვირია, რომ გამიჩნდა სურვილი, ვიდგე ამ ადამიანების გვერდით და მათთან ერთად, ჩემი მუნიციპალიტეტისთვის, არაერთი სასიკეთო საქმე გავაკეთო.

– რის გაკეთებას გეგმავთ?

– დავიწყოთ იმით, რომ ზოგადად რეგიონული განვითარება ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულია. ამ ფონზე, დარწმუნებული ვარ, ადიგენს, გუნდის დახმარებით, არაერთ სიკეთეს მოვუტან. მუნიციპალიტეტში უკვე დაწყებულია არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი. ჯერ მარტო აბასთუმანში დაწყებული სამუშაოები რად ღირს. ამის გამო, ფონდი „ქართუს“ მადლობელი ვარ. კეთდება გოდერძის უღელტეხილი, კეთდება ზეკარის შემოვლითი გზა. ამ ინფრასტრუქტურული პროექტებით ადიგენი ჩიხი აღარ იქნება და ახალ ფუნქციას შეიძენს. განვითარდება ტურიზმის მიმართულებაც, იქნება მცირე მეწარმეობისთვის ყველა პირობა, მუნიციპალიტეტი უფრო განვითარდება და შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები.

ვიცი, რომ დღეს ადიგენის მოსახლეობის ერთ-ერთი გამოწვევა სარწყავი და სასმელი წყალია. ჩემი პრიორიტეტი იქნება, ეს საკითხი მოვაგვაროთ. ზოგადად, არ ვაპირებ ამომრჩეველს ტყუილად რამეს დავპირდე, ამიტომ მხოლოდ ამას ვიტყვი – ხალხს ვპირდები 24-საათიან შრომას! და ყველაფერს გავაკეთებ, რაც მათთვის იქნება მნიშვნელოვანი.

– ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც ადიგენის მოსახლეობამ მხარი თქვენ უნდა დაგიჭიროს?

– მთავარი მიზეზი ისაა, რომ მე მათ წიაღში, ერთ ჩვეულებრივ, პატიოსანი ადამიანების ოჯახში დაბადებული და გაზრდილი ვარ. ზუსტად ისეთი ვარ, როგორიც თითოეული მათგანი. კარგად ვიცი მათი საფიქრალი და საჭიროებები. ვიცი იმ შრომის ფასიც, რომელსაც ისინი ეწევიან. გაჭირვებაც მინახავს და დალხენილიც ვყოფილვარ, მაგრამ ცხოვრების არც ერთ ეტაპზე, მათთვის ზურგი არ შემიქცევია. ვერავინ იტყვის, რომ დეპუტატობის პერიოდში, ვინმეს სატკივარი გულთან არ მივიტანე. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, მხარს დამიჭერენ და მომდევნო 4 წელში, ერთად, ჩვენი ადიგენისთვის, ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ.

გოჩა ქიმაძის დიდი ოჯახი და „მეორე შანსი“

გოჩა ქიმაძისა და ნინო ჯვარიძის სიყვარულის ისტორია უცნაურად დაიწყო. როცა ბატონი გოჩა 25 წლის გახდა, დედამ აიჩემა, დროა, დაოჯახდეო. მაშინ სერიოზული ურთიერთობა არავისთან ჰქონდა და არც დედის „შეგონებას“ აღიქვამდა სერიოზულად. ძმას ეხმარებოდა სახლის მშენებლობაში. ბიძაშვილებმა აიჩემა, გავისეირნოთ, ცოტა დავისვენოთო და უწყინარი ტყუილიც თქვა – გოჩას გოგო უნდა გავაცნო, ცოტა ხნით უნდა გავიდეთო. ეწია ცას სიხარულით დედა და გზა დაულოცა შვილს. გზაში ბიძაშვილი გაეხუმრა, მართლა ხომ არ გაგაცნო ერთი კარგი გოგო, ჩემთან ბუღალტრად მუშაობსო. არც ეს საუბარი აღუქვამს სერიოზულად, მაგრამ მაინც დათანხმდა, სამსახურში შეევლოთ. უცნობი ბუღალტერი ადგილზე არ დახვდათ. სამაგიეროდ, მოგვიანებით, ქუჩაში შემთხვევით გადაეყარნენ. „აი, ეს არის ის გოგო – მითხრა ბიძაშვილმა. შევხედე და უცებ გავშეშდი – ზუსტად ისეთი იყო, როგორი გოგონებიც მომწონდა. გავიცანი, დავიწყეთ ურთიერთობა და ძალიან მალე, გრძნობაც გამიჩნდა“, – ასე იხსენებს ბატონი გოჩა მომავალი მეუღლის გაცნობას.

2 ვაჟი ჰყავთ: გიორგი და ლევანი. ორივე ძალოვან სტრუქტურაში მუშაობდა. მოგვიანებით, ლევანი სამსახურიდან წამოვიდა და სადისტრიბუციო კომპანია დააარსა. 22 წლის იყო, როცა მამას გამოუცხადა ცოლი უნდა მოვიყვანოო. ბატონი გოჩა სარძლოს, ნესტან კაპატაძეს უკვე იცნობდა და შვილის არჩევანს დათანხმდა. დღეს ლევანსა და ნესტანს სამი შვილი ჰყავთ და ბედნიერი ოჯახი აქვთ. ნესტან კაპატაძე განათლების სისტემაში მუშაობს.

დაოჯახებულია გიორგიც. მან მომავალი მეუღლე, თამარ აკობიძე, რომელიც იუსტიციის საბჭოში მუშაობს, სამეგობრო წრეში გაიცნო. წყვილს ორი შვილი ჰყავს.

ლევანსა და გიორგის შესაშური ძმობა აქვთ. ერთმანეთისადმი უსაზღვრო სიყვარულის ფონზე, არავის გაკვირვებია ლევანმა პირველ ვაჟს გიორგი რომ დაარქვა. ბიძის მოსახელე 10 წლისაა. ბაბუას შეფასებით, ზენიჭიერი ბავშვი და „წიგნის ჭიაა“. მათემატიკა განსაკუთრებით უყვარს, თუმცა ჰუმანიტარული საგნებიც მოსწონს. მოთხრობებსაც წერს და ბატონი გოჩა ფიქრობს, რომ ერთ დღეს, კრებულს დაუბეჭდავს. შუათანა, ნიკოლოზიც ნიჭიერი და მრავალმხრივ განვითარებული ბავშვია. ნაბოლარა ნინუცა კი სკოლაში წელს მიდის. ნიჭიერებასა და მიზანდასახულობაში პატარა მეტიჩარამ ძმებს უკვე გადაასწრო – ცეკვავს, მღერის, საოჯახო საქმეც ეხერხება და ხელსაქმეც.

როცა გიორგი პირველ ვაჟს ელოდა, ოჯახში ინტრიგა ჩააგდო – ისეთი კაცის სახელს ვარქმევ, თვითონაც ბედნიერი იქნება და ის კაციც, სადაც არისო. ყველას ეგონა, რომ გიორგი შვილს ბაბუის სახელს დაარქმევდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ძმის სახელს არქმევდა. გამოაცხადა – ლევან მეორე დაიბადაო. ბიძის მოსახელე ლევანი 6 წლისაა. მას პატარა და – ნატალიკო ჰყავს, რომელმაც კანდიდატს, გარკვეული პერიოდი, ყველას არსებობა „დაავიწყა“.

ბედნიერები მაშინ არიან, როცა თავს მოიყრიან და დროს ერთად ატარებენ. ბატონ გოჩას, ოჯახის წევრებთან გასეირნებაც უყვარს. განსაკუთრებულ სიმშვიდეს კი, აღმსარებელი, მაზიარებელი კანდიდატი, მშობლიურ ადიგენში, თავის აშენებულ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში პოულობს. სწორედ აქ, უფლის სახლში, იხსენებს ხოლმე ადიგენში გატარებულ ბავშვობას, თოხნაში „გაცვლილ“ კითხვას, ძალოსნობაში თავდაუზოგავ ვარჯიშს, კალათბურთის სიყვარულს და იმას, როგორ დაიმკვიდრა სოფლიდან ჩასულმა ბიჭმა თავი დედაქალაქში მხოლოდ პატიოსნებითა და გულწრფელობით, როგორ გარისკა, როცა ბიზნესი წამოიწყო, როგორ იცავდა ადიგენელების ინტერესებს საქართველოს პარლამენტში... ამ დროს რწმუნდება, რომ ამჯერადაც, სწორი გადაწყვეტილება მიიღო – რადგან გუნდმა მისცა „მეორე შანსი“, ემსახუროს საყვარელ ადიგენს, ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოიყენოს!

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ – ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲖᲔ, ᲛᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲐᲖᲔ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ. ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝᲓ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ, ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲖᲔ ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ.

ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲘᲡ ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘ

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო.

2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ადიგენის მუნიციპალიტეტზე გამოიყო 21 622 595 ლარი, დაფინანსდა 44 172 შემთხვევა, მათ შორის: გეგმური ამბულატორიული** (898 092,1 ლარი, 73 494 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (2 088 153 ლარი, 26 444 მეტი შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (14 404 995 ლარი, 11 577 შემთხვევა), **გეგმიური ქირურგიული** (2 653 144 ლარი, 2535 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (970 059 ლარი – 1 714 შემთხვევა) **და ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (632 844 ლარი, 1339 შემთხვევა). 8000 ლარის ოდენობით გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიო/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი.

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, ამ პროგრამით, **ადიგენში** დაფინანსდა 1300 ბენეფიციარი (დაიხარჯა 65 363 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. 2020 წელს, **ადიგენში,** იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი 95.2 იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ადიგენში,** სტაციონარული მკურნალობით 96-მა (388 261 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით 1010-მა პაციენტმა (77 827 ლარი) ისარგებლა.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისი მიიღო 2801-მა (164250 ლარი), საჭირო მედიკამენტები კი 801-მა ორსულმა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ადიგენის მუნიციპალიტეტიდან პროგრამაში** ჩართული იყო 224 პირი (46 021 ლარი).

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ადიგენის მუნიციპალიტეტს 35 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება 55,9 ათასიდან 78,2 ათას ლარამდე გაიზარდა.

ადიგენის მუნიციპალიტეტში, მხოლოდ 2019-2020 წლებში, განხორციელდა სამედიცინო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია/ მოწყობის პროექტები: ამბულატორიები სოფლებში: ვარხანი, ზანავი, ლელოვანი, დიდი სმადა, მლაშე. საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ადიგენის სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობის მშენებლობა (220 129 ლარი); აბასთუმნის პოლიკლინიკის რეაბილიტაცია (700 000 ლარი). ფონდის „ქართუ“ დაფინანსებით, სოფ. აბასთუმანში, ფილტვის ქრონიკულ პათოლოგიათა მკურნალობის ცენტრის მშენებლობა (6 056 000 ლარი); **დაგეგმილია ამბულატორიების რეაბილიტაცია, სოფლებში:** უდე – 53 006 ლარი (ბენეფიციარი – 2763); მოხეა – 19 694 ლარი (ბენეფიციარი – 864); ჭეჭლა – 22 512 ლარი (ბენეფიციარი – 852); ბოლაჯური – 23865 (ბენეფიციარი – 1505). არლი – 15 122 ლარი (ბენეფიციარი – 1368).

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲘ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები.

სოციალური დაცვა

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის საპენსიო ასაკის პირთა პენსია 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ).

ადიგენის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო პენსიის მიმღებია (2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით) 3 443 პირი. 2012 წლის შემდეგ 2,3-ჯერ – 4 012 151 ლარიდან 9 292 116 (2020 წლის მონაცემი) ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში (აპრილის მონაცემებით), მუნიციპალიტეტის ასაკით პენსიონერთა საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 58 045 138 ლარი დაიხარჯა.

2013 წლიდან დაზუსტდა სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება სახელმწიფო პენსიის ოდენობა, პირის სამხედრო/სპეციალური წოდება, შესაბამის ორგანოებში მუშაობის სტაჟი. **ადიგენში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებია 55 პირი. 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე გაცემულია სულ 2 027 570 ლარი (2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით).

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ადიგენის მუნიციპალიტეტში,** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი **სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი** 689 ოჯახია, 2012 წლის შემდეგ თითქმის 3.2-ჯერ – 520 ათასიდან 1 680 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 9 881 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 1 778 ათასი ლარი, შშმ პირებზე – 768 ათასი ლარი, ბავშვებზე – 4 452 ათასი ლარი (2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით). **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებული პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ადიგენში სოციალური პაკეტით მოსარგებლეა** 887 მიზნობრივი ჯგუფი. 2012 წლის შემდეგ გაწეული ხარჯი 5,8-ჯერ, 240 033-დან 1 397 600 ლარამდე გაიზარდა. 2013-2019 წლებში, სულ დახარჯულია 9 120 098 ლარი.

ადიგენის მუნიციპალიტეტში 15 დევნილია. 2012 წლის შემდეგ, შემწეობებზე გაწეული ხარჯი 9 100-დან 7 155 ლარამდე გაიზარდა (2020 წლის მონაცემებით), 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 79 994 ლარი (2021 წლის აპრილის მონაცემები). **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (2021 წლის ივლისის მონაცემებით), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამების ფარგლებში, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა. **ადიგენის მუნიციპალიტეტში დაკმაყოფილდა 2 ოჯახი, მათ შორის: „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში, სახელმწიფომ სახლი დევნილ 2 ოჯახს შეუსყიდა.** საქართველოს მასშტაბით, 2021 წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება.

2013-2021 წლებში, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დაკმაყოფილდა გრძელვადიანი საცხოვრებლით, 667 ეკომიგრანტ ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებელი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია.

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით (მესამე და მომდევნო ბავშვი) **ადიგენში** დაფინანსებულია 212 ბენეფიციარი (2021 წლის 1 აპრილის მდგ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 656 240 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 396 000 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ.

ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან **ადიგენის მუნიციპალიტეტისთვის** – 1 118 690 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად (1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ). 2020 წელს, **ადიგენში,** პროგრამაში ჩართული იყო 461 ოჯახი, 2021 წელს – 504. **ყოველთვიური დახმარება** (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, **ადიგენში,** 2020 წელს ისარგებლა 157 ოჯახმა, 2021 წ. – 171 ოჯახმა (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** დამატებით გამოყოფილია 100 ლარი, **ადიგენში –** 2020 წ. პროგრამაში ჩაერთო 200, 2021 წ. (ივნისის მდგომარეობით) – 205 პირი.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

ადიგენის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2020 წელს, 2013 წელთან შედარებით სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება 224,9 ათასიდან 412,3 ათას ლარამდე გაიზარდა.

ადიგენის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება შემდეგი პროგრამები: ახალშობილთა ოჯახების დახმარება, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება, შშმ პირთა დახმარება, მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილნი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ �გᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲕᲐᲓᲘᲐᲜ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐᲖᲔᲐ ᲒᲐᲗᲕᲚᲘᲚᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲘᲐ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ **2012 ᲬᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ, 2,5-ᲯᲔᲠ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ. 4-ᲯᲔᲠ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ 2-ᲯᲔᲠ – ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ, 5,3-ᲯᲔᲠ – ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ 2-ᲯᲔᲠ – ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ. ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲖᲝ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲛ – 65%, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘᲡ – 120%-ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ. 600 000-ᲛᲓᲔ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ.** 2019 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲗᲐ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘᲪ �გᲐ�გᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ.

2013-2020 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲖᲝ�გᲐᲓᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ **ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ-ᲠᲔᲐᲑᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲡ** ᲛᲘᲖᲜᲘᲗ 427 ᲛᲚᲜ 789,3 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, 2017-2020 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ – 289 ᲛᲚᲜ 137,8 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ.

2012-2020 წ.წ. ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 68 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ 4 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 140-ᲛᲓᲔ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ **ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ**, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ „ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲡᲘᲞ – ᲡᲐ�გᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲘᲠᲓᲐ 91 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ 1300-ᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲡ.

2017-2020 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 42 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ (ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, 19 ᲛᲪᲘᲠᲔᲙᲝᲜᲢᲘᲜᲒᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ) ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ 4 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲔᲚᲡ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ 2 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ. ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 83 ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ „ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ – ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲡᲘᲞ – ᲡᲐ�გᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐ�გᲔᲜᲢᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲘᲠᲓᲐ 41 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ 500-ᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐᲡ;

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲗ, ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ **608 ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ** ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ (ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ). ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ **145 ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘ**.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ **ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ** ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ. 2013 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲛ, ᲯᲐᲛᲨᲘ, 300 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲝ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲯᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ/ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ/ᲐᲦᲭᲣᲠᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ 100 ᲛᲚᲜ ᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ. ᲓᲐᲤᲣᲫᲜᲓᲐ 8 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲥᲡᲔᲚᲡ ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲐ 16 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲝᲙᲐᲪᲘᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲙᲝᲚᲔᲯᲡ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲜ ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲐᲨᲔᲜᲓᲐ 2 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ. 10-ᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲛᲐᲗ�გᲐᲜ 4 ᲙᲝᲚᲔᲯᲨᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲘᲡ ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ. 14 ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘ (FABLAB). 2021 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲐᲜ/ᲓᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ/�გᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲖᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲡ/ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲚᲔᲯᲔᲑᲘ/ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲔᲑᲘ ᲙᲐᲡᲐᲨᲘ, ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲨᲘ, ᲓᲣᲨᲔᲗᲨᲘ, ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲨᲘ (ᲒᲝᲠᲐᲑᲔᲠᲔᲯᲭᲝᲣ-ᲚᲘ), ᲥᲔᲓᲐᲨᲘ, ᲤᲝᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲨᲘ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ 5 ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ/ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲡ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ. 2018 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ „ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ �გᲐᲮᲐᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚ ᲡᲐ�გᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲡᲗᲐᲜ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲗᲐ. ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ, ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲕᲐᲣᲩᲔᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ; ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲨᲘ; ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲘᲜᲢᲔ�გᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ �გᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲑᲐᲖᲝ (9 ᲙᲚᲐᲡᲘ) ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲞᲘᲠᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲢᲔᲡᲢᲐᲢᲗᲐᲜ �გᲐᲗᲐᲜᲐᲑᲠᲔᲑᲣᲚ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ; ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲖᲠᲓᲐᲡᲠᲣᲚᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ-�გᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲝᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲓᲐᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲡ; �გᲐᲫᲚᲘᲔᲠᲓᲐ ᲘᲜᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2,1-ᲯᲔᲠ, ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ **ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ** ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ. **ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ:** ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲡᲐᲡ�წᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐ�გᲘᲡᲢᲠᲝ �გᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ/ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲔᲑᲐ 30 000-ᲛᲓᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ; ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲘᲦ�წᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲡ (ᲡᲢᲘ�პᲔᲜᲓᲘᲔᲑᲘᲡ) ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ; ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲗ, ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ, ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ I-II ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲔᲑᲖᲔ (ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ 2 ᲛᲚᲜ 725 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲔᲧᲝᲤᲐᲗ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐ�გᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ Ს�წᲐᲕᲚᲐᲡ Ა�გᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ/ᲡᲐᲛᲐ�გᲘᲡᲢᲠᲝ �გᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ (ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ – 285 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ Ა�გᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ �გᲐᲛᲧᲝᲤᲘ ᲮᲐᲖᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ Ს�წᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐᲡ (ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ – 5 ᲛᲚᲜ ᲚᲐᲠᲘ); ᲒᲐᲘᲪᲔᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲡᲢᲘ�პᲔᲜᲓᲘᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ (ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ – 4,7 ᲛᲚᲜ ᲚᲐᲠᲘ); ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲔᲑᲔᲜ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ Ს�წᲐᲕᲚᲐᲡ Ა�გᲠᲫᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ (ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ – 20 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ, 2014-2019 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, 800-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲡᲢᲘ�პᲔᲜᲓᲘᲐ ᲒᲐᲘᲪᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲔᲑᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. 2016 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ 60-ᲙᲠ

წელს – სოფელ უდის №1 და №2 (8 921 ლარი) და დაბა აბასთუმნის (28 563 ლარი) საბავშვო ბაღებს. **2021 წელს მიმდინარეობს:** სოფ. დიდ ზანავში, 944 ბენეფიციარზე გათვლილი, საბავშვო ბაღის მშენებლობა (124 ათასი ლარი), უდეში, 2 763 ბენეფიციარზე გათვლილი, საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები (64,7 ათასი ლარი). სოფელ არლის, 1 368 ბენეფიციარზე გათვლილი, საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები (124 373 ათასი ლარი).

ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

2019 წლის 1 ოქტომბრიდან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დადგენილი წესით, გამოყოფილი დამატებითი დაფინანსება ყოველთვიური 500-დან 600 ლარამდე გაიზარდა.

ადიგენში ფუნქციონირებს 25 **საჯარო სკოლა,** მათ შორის, 20 სკოლა მდებარეობს მთის სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტებში. სულ სკოლებში 2329 მოსწავლე ირიცხება (მიმდინარე წლის აგვისტოსთვის დარეგისტრირებული პირველკლასელების ჩათვლით), დასაქმებულია 555 მასწავლებელი (მათ შორის, მთის სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტის სკოლებში – 444) და 20 სპეციალური მასწავლებელი. 2020 წლის მაისის მდგომარეობით, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება დადგენილი აქვს 41 მოსწავლეს.

ადიგენში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, სამინისტრომ განახორციელა არაერთი პროგრამა, მათ შორის, საჯარო სკოლის **ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით ისარგებლა ადიგენის მუნიციპალიტეტის 18 საჯარო სკოლის 576-მა მოსწავლემ (34 მიმართულება), **ექიმის კაბინეტი** ფუნქციონირებს **7** სკოლაში; პროგრამით „ასწავლე საქართველოსთვის“ კონსულტანტ-მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები: 2017-2019 წლებში, **მოსწავლეთა უზრუნველყოფის** პროგრამის ფარგლებში, 60 682 უფასო **სახელმძღვანელო და რვეული,** 1 210 **სასკოლო ჟურნალი** დარიგდა; 59 წარჩინებულ მოსწავლესა და 71 დამრიგებელს **პერსონალური კომპიუტერები** გადაეცათ, **„ჩემი პირველი კომპიუტერის“** პროგრამით, კომპიუტერები 571-მა პირველკლასელმა მიიღო; 2019 წლის მარტში ამოქმედდა „**ახალი სკოლის მოდელი**“, რომელიც დანერგილია სოფ. არლის, ზანავის, მლაშეს, დაბა ადიგენისა და დაბა აბასთუმნის საჯარო სკოლებში. **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** უზრუნველყოფილია 25 სკოლა; **სამინისტროს მიერ დაგეგმილი ყველა პროექტი და ტრენინგკურსი ხელმისაწვდომია ყველა მასწავლებლისა და მოსწავლისათვის.**

2013-2021 წლებში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების **ინფრასტრუქტურის განვითარების** პროგრამით, **სრული რეაბილიტაცია** ჩაუტარდა 2 საჯარო სკოლას, **ნაწილობრივი რეაბილიტაცია –** 28-ს. 2018 წელს დასრულდა 192 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის მშენებლობა სოფელ არალში, რაზეც **2 მლნ 256, 9 ათასი ლარი** დაიხარჯა. იმავე წელს განხორციელდა გაზმომარაგების გარე ქსელზე სკოლის მიერთება (3500 ლარი) და გაზიფიცირება (612,9 ათასი ლარი). 2019 წელს **დასრულდა** სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (**1 მლნ 63,7 ათასი** ლარი); **ნაწილობრივი რეაბილიტაცია** ჩაუტარდა 4 საჯარო სკოლას, სრული რეაბილიტაცია – სოფელ მოხის საჯარო სკოლას (**1 მლნ 644 ათასი ლარი);** მიმდინარეობს სოფელ არლის საჯარო სკოლის ინტერნეტიზაცია – **უკაბელო ქსელით** აღჭურვა (17, 4 ათასი ლ), აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის რეაბილიტაცია (4,5 მლნ ლარი).

2013 წელს სულ სკოლების ნაწილობრივ რეაბილიტაციასა და დემონტაჟზე 283,8 ათასი ლარი დაიხარჯა; **2014 წელს** – სულ 186,9 ათასი ლარი, **2015 წელს –** სულ 164,1 ათასი ლარი; **2016 წელს** – სულ 154,5 ათასი ლარი დაიხარჯა; **გაგრძელდა** არალის საჯარო სკოლის მშენებლობა (**1 მლნ 698 ათასი ლარი). 2017-2018 წლებში** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 12 საჯარო სკოლას; დაწყებითი სკოლა აშენდა სოფელ შოლავერში (სახელმწიფო ბიუჯეტიდან 450 ათასი ლარი); ასევე დასრულდა, სოფელ არალში, 192 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის მშენებლობა (**2 მლნ 256, 9 ათასი ლარი)** და **უკაბელო ქსელით** აღჭურვა (17, 4 ათასი ლარი). **მიმდინარეობს აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის რეაბილიტაცია** – 4,5 მლნ ლარი (მგფ პროექტი 2018 წ.) **ადიგენში 25 ადაპტირებული სკოლაა; ცენტრალური გათბობა** მოწყობილია 8 სკოლაში; ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4-ს. სრული რეაბილიტაცია – სოფელ მოხისა და ზარზმის საჯარო სკოლებს (მგფ – 2 723 678 ლარი);

2019-2021 წლებში სარემონტო სამუშაოები ჩატარდა და მოეწყო სველი წერტილები 11 საჯარო სკოლაში (655,2 ათასი); **სკოლების სახელმწიფო პროგრამით, 2019 წელს –** სველი წერტილები მოეწყო ზანავის (100 ათასი ლარი), უდეს №2 (58,515 ლარი) ფხეროს (61,9 ათასი ლარი) საჯარო სკოლებში, საპირფარეშო – კახარეთის სკოლაში (88,3 ათასი ლარი); **2020 წელს –** სველი წერტილები მოეწყო შოყის (35 125 ათასი ლარი), ღორძის (72,8 ათასი ლარი), უდეს №1 (82 372 ლარი), ვარხანის (98 174 ლარი), იმერთუბნის (30 672 ლარი), ზემო ენთელის (**36 325 ლარი)** საჯარო სკოლებში. **მიმდინარეობს** 3 სკოლის სარემონტო სამუშაოები (სულ 254 658 ლარ). დიდი სმადისა (107,171 ლარი) და ლელოვნის (30,671 ლარი) საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობა;

ადიგენში, მუნიციპალური განვითარების ფონდი აფინანსებს სოფელ ზარზმის საჯარო სკოლის რეაბილიტაციას. ამავე ფონდის დაფინანსებით, 2020 წელს დასრულდა სოფელ მოხის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია – 1,644,404 ლარი; **ასევე მიმდინარეობს –** სოფელ ბოლაჯურში, 150 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა (2 **მლნ 432,6 ათასი ლარი);** სოფ. ღორთუბანში, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში Design-Build მეთოდით, 60 მოსწავლეზე გათვლილი, საჯარო სკოლის პროექტირება/მშენებლობა (**1,2 მლნ ლარი)** და სოფელ ბენარაში მიმდინარეობს 150 ბავშვზე გათვლილი საჯარო სკოლის მშენებლობის დასრულებითი სამუშაოები – 2 მლნ 345 ათასი ლარი.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ადიგენში, როგორც მაღალმთიან რეგიონში, მოქმედებს **სოციალური პროგრამა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა დაფინანსების მიზნით –** სახელმწიფო სასწავლო გრანტს ყოველწლიურად მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის სტუდენტები მოიპოვებენ. მიმდინარეობს მაღალმთიანი დასახლების, ობოლი, სოციალურად დაუცველი, და დევნილის სტატუსის მქონე სტუდენტების სწავლის დაფინანსება.

სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2013-2016 წ.წ. ადიგენის მუნიციპალიტეტიდან დაფინანსდა 68 სტუდენტი, 2017 წელს – 15 სტუდენტი. 2018 წლიდან **სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიცავს სამცხე-ჯავახეთის რეგიონს (ადიგენი, ასპინძა ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომი და ნინოწმინდა)** და 2018-2019 სასწავლო წელს დაფინანსდა 79 სტუდენტი; 2019-2020 სასწავლო წელს – 79, 2020-2021 სასწავლო წელს – 79 სტუდენტი.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ – ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ:

- რეფორმის მომდევნო, მრავალმხრივი ეტაპი – სისტემური ცვლილებები ყველასთვის ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის უზრუნველმყოფი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის ჩამოსაყალიბებლად, ხელი შეეწყობა ხელმისაწვდომობის ზრდას ხარისხიან ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე;
- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება **მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების** პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ადიგენში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- 2022 წლამდე მანდატურების რაოდენობა გაიზრდება;
- განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არაქართულენოვან სკოლებში ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშეწყობას, ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით, რაც საშუალებას მისცემს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელ ყველა ბავშვს, შეისწავლოს მშობლიური და სახელმწიფო ენები სრულფასოვნად,
- დაგეგმილია აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის აღჭურვილობის შეძენა;
- იგეგმება ადიგენის, მლაშეს, დიდი სმადის, უდის №2, კახარეთის, ზანავის, ჭელას და წახანის ნაწილობრივი რეაბილიტაციისთვის პროექტირება/რეაბილიტაცია.
- 2021 წლის სკოლების სახელმწიფო პროგრამით განხორციელდება უდის №2 საჯარო სკოლის იატაკის ჭერისა და სახურავის რეაბილიტაცია – 90 ათასი ლარი;
- 2022 წლისთვის დასრულდება სოფელ არალის საჯარო სკოლის ინტერნეტიზაცია – სკოლის უკაბელო ქსელით აღჭურვაზე 17, 4 ათასი ლარი დაიხარჯება;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების **ხელმისაწვდომობა,** შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო **დაფინანსება,** შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის **დაფინანსების ახალი მოდელი**, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების **ხარისხის** განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების **სტრატეგიული გეგმა**, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ, ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ: ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ (დაბა ადიგენის ცენტრალური და საბავშვო ბიბლიოთეკები, დაბა აბასთუმნის საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკები, სოფელ არალისა და უდის ბიბლიოთეკები), **მუსიკალური სკოლა** (ადიგენის, აბასთუმნის, უდისა და არალის ფილიალები); **კულტურის ცენტრი** (აბასთუმნის, არალის, უდის, ბოლაჯურის, დიდი სმადის და ვარხანის ფილიალები), ცენტრთან არსებული ბავშვთა **ქორეოგრაფიული ანსამბლები** „ჭელე“ და „ზარზმა“, ვოკალური ჯგუფი „ანცები“.

2020 წლისთვის, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები 119 ათასიდან 644 ათასი ლარამდე გაიზარდა.

2014-2021 წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში ტარდებოდა სახალხო ზეიმები: „ბერობანა“, „ანთიმოზობა“, „შუამთობა“, „ზარზმობა“ და „ზეკარობა“, ეწყობოდა გამოფენები; 2020 წელს **ადიგენის სამუსიკო სკოლაში,** კოვიდპანდემიის გამო, ონლაინ რეჟიმში ჩატარდა კონცერტი, რომელშიც 104 მოსწავლე მონაწილეობდა.

2014-2021 წლებში, განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობის/რებილიტაციის შემდეგი პროექტები: დაბა ადიგენის ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია, ზარზმის მონასტრის გარეგანათების ქსელის მოწყობა, დაბა ადიგენის ცენტრალური ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზის რეაბილიტაცია, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ომში დაღუპულთა მემორიალის მშენებლობა (სულ 102 ათასი ლარი). რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფელ არალის სამრევლო სკოლას (14, 3 ათასი ლარი); სოფელ არალში გარემონტდა მუსიკალური სკოლს შენობა (9,7 ათასი ლარი); სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა კულტურული მემკვიდრეობის 18 ძეგლს;

დასრულდა: ზარზმის მონასტრის ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და გადაუდებელი აღდგენითი სამუშაოები (**2,5 მლნ ლარი);** აბასთუმნის ურბანული განახლების პროექტი – ისტორიული ხის სახლების რეაბილიტაცია (**5 მლნ 668,8 ათასი ლარი).** 2019 წელს არქეოლოგიური კვლევა ჩაუტარდა ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანში მდებარე სამონასტრო კომპლექსს; 2020 წელს დაიწყო და დაბა აბასთუმანში მიმდინარეობს „გლაზენაპის“ კოშკის რეაბილიტაცია (97 ათასი ლარი).

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადიგენის კომპლექსური სასპორტო სკოლა, სარაგბო სკოლა და სარაგბო კლუბი „ტაო“.

სოფ. ვარხანი, საბავშვო ბაღი

2020 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება 50 ათასიდან 118 100 ლარამდე გაიზარდა.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროს წარმომადგენლები ეტაპობრივად გადიან ტრენინგებს. სპორტის სხვადასხვა სახეობაში დასაქმებულია 15 მწვრთნელი. მაღალმთიან რეგიონში დასაქმებულები **სახელმწიფოსგან იღებენ მატერიალურ წახალისებას**

ადიგენის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში 300 მოსწავლე ირიცხება. მუნიციპალიტეტში სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: ფეხბურთი, მკლავჭიდი, ჭიდაობა, კალათბურთი, რაგბი და ჭადრაკი. აღსანიშნავია სპორტსმენთა შედეგები რეგიონულ თუ საერთაშორისო ტურნირებში.

სპორტის ხელშეწყობის მიზნით, 2013-2021 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ადიგენის მუნიციპალიტეტში, 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (14,9 ათასი ლარი), შეიძინა სხვადასხვა ინვენტარი (2,1 ათასი ლარი). **2107 წელს** გარესავარჯიშო მოწყობილობები დაიდგა დაბა ადიგენში (14, 3 ათასი ლარი). **2017-2018** წლებში მუნიციპალიტეტს 2 197 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი გადაეცა.

2019 წელს, **მინი სპორტული მოედნები** მოეწყო სოფლებში: არალი (78, 5 ათასი ლარი) და ბენარა (76 ათასი ლარი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა დაბა ადიგენში სპორტული სკოლის შენობას (3,5 ათასი ლარი);

2020 წელს **გარეგამოყენების ფიტნესის ტრენაჟორები** მოეწყო (მონტაჟი/საჩრდილობელი ფანჩატურისა და მოედნის მოწყობა) დაბა ადიგენში (19 134 ლარი) და სოფლებში: არალი, ქვემო ენთელი, ლელოვანი, მოხე, ბენარა და მლაშე – 104 496 ლარი;

2020-2021 წლებში, **მინიმოედნები** მოეწყო სოფ. ხარჯამში, ქვემო ენთელსა და ვარხანში (**296,3 ათასი ლარი);** დასრულდა მინი სპორტული მოედნის მშენებლობა სოფელ ხევაშენში (71, 1 ათასი ლარი); გამოცხადებულია ტენდერი კეხოვანსა და უტყისუბანში მინიმოედნების პროექტებზე (ჯამურად **214 521** ლარი).

ზარზმის მონასტრის რესტავრაცია

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲖᲜᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ, ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ: „„საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობდა 18-დან 29 წლამდე ახალგაზრდა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან), ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

2020 წლის **საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა:** 1 ახალგაზრდული ორგანიზაცია (55 000 ლარი, მონაწილეობდა 150 ახალგაზრდა, დასაქმდა – 3) **ორგანიზაციების განვითარების მიმართულებით** 1 ორგანიზაციის 3 თანამშრომელი გადამზადდა, აქედან 1 – ახალგაზრდული მუშაკის სასერტიფიკატო პროგრამით;

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში: 2019-2020 წლებში, დაბა ადიგენსა და სოფელ დიდ ზანავში მოეწყო საბავშვო გასართობი მოედნები (473 ლარი); **მიმდინარეობს** დაბა ადიგენში არსებული პარკის რეაბილიტაცია (228 ათასი ლარი) და საზოგადოებრივი ცენტრის (სოფლის სახლის) კეთილმოწყობის სამუშაოები (58 793 ლარი).

41 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ – ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ადიგენში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- დაგეგმილია ადიგენის კულტურის სახლის რეაბილიტაცია – **2, 5 მლნ ლარი;**
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- 2021-2025 წ.წ. – გაგრძელდება მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა;
- დაგეგმილია ქვემო ენთელისა (70 ათასი ლარი) და ვარხანის (78 537 ლარი) მინიმოედნების მოწყობა.
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად მუნიციპალიტეტი განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობასა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნას;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.
- 2021 წელს ჩატარდება ადიგენში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროების კვლევა;
- შეიქმნება კვლევაზე დაფუძნებული ადგილობრივი ახალგაზრდული სტარტეგია და სამოქმედო გეგმა;
- 2021 წელს გადამზადდება ადიგენის მერიის ახალგაზრდული სამსახურის 2 თანამშრომელი ახალგაზრდული პოლიტიკის კოორდინატორებად.

მართლწესრიგი

დანაშაულის სტატისტიკა

2017-2020 წლებში, ადიგენის მუნიციპალიტეტში, მძიმე დანაშაულის (იმ 5 სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:

ცხ. 1 ადიგენის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.

მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები)	0	0	0	1
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)	0	1	0	0
მათ შორის, გახსნილი	0	1	0	0
გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)	0	0	0	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)	0	0	0	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)	0	0	0	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
სულ	0	1	0	1
მათ შორის გახსნილი	0	1	0	0

პრობაციონერთა სტატისტიკა

2017-2020 წ.წ. ადიგენის მუნიციპალიტეტში პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.

სტატისტიკა მოწმობს, რომ მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა წლების მიხედვით, 2017-2020 წ.წ.-ის განმავლობაში სტაბილურია და, წინა წლებისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად არ იზრდება.

ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა ადიგენის მუნიციპალიტეტში

პრობაციონერთა სტატისტიკა	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა	41	51	58	60
არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	0
დანაშაულის რეციდივის შემთხვევები	1	1	0	0
სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	0
პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	0	0	0	0

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ ადიგენის მუნიციპალიტეტში 2017-2020 წ.წ. კრიმინოგენური მდგომარეობა მშვიდი და სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 2 შემთხვევა, რომელთაგან ერთი ოპერატიულად გახსნილია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში იშვიათია, ერთეულ, განსაკუთრებულ შემთხვევათა რიგს განეკუთვნება და მათი რაიმე ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის, **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების“** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის **უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.**

სტატისტიკიდან ასევე ჩანს, რომ მოქმედ პრობაციონერთა შორის განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები იშვიათია, 2017-2019 წ.წ-ში ასეთი სულ 2 შემთხვევაა აღრიცხული, ხოლო გასულ ბოლო 2 წელიწადში, 2019-2020 წლებში – აღარც ერთი. პრობაციონერთა შორის რეციდივის პრაქტიკულად არარსებობა ასევე მეტყველებს, რომ მუნიციპალიტეტში კრიმინოგენური მდგომარეობა მშვიდი და სტაბილურია.

სამომავლოდ, პრობაციის სააგენტო გეგმავს გააქტიურებას, რათა პრობაციონერებს ხელი შეუწყოს ადგილზე, მუნიციპალიტეტში დასასაქმებლად; აგრეთვე, განზრახულია პრობაციონერთათვის (პანდემიის გამოწვევის გათვალისწინებით) სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის დანერგვა და ეფექტიანი განხორციელება.

ადიგენის საზოგადოებრივი ცენტრი

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურებათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისთვის, ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელდა მუნიციპალიტეტის დასახლებებში „საზოგადოებრივი ცენტრების“ ამოქმედება.

საზოგადოებრივი ცენტრი, იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია, მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო (მაგ. ლიბერთი ბანკის, მაგთიკომის და სხვ.) მომსახურება, რომელსაც სპეციალურად ამ მიზნით მაღალი პროფესიულ სტანდარტებით მომზადებული პერსონალი ახორციელებს; ამავდროულად, „საზოგადოებრივი ცენტრი“ განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდენის კვალობაზე საზოგადოებრივი ცენტრი წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას. იგი გახდება ეფექტიანი ინსტრუმენტი თემის თვითორგანიზებისა და მის მიერ შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი თვითმმართველობის უშუალოდ განხორციელებისათვის.

მუნიციპალიტეტში პირველი, ადიგენის „საზოგადოებრივი ცენტრი“, გაიხსნა 2019 წლის 15 იანვრიდან და ეფექტიანად ფუნქციონირებს.

სამომავლოდ საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა, აღჭურვა და პერსონალის მომზადება ეტაპობრივად მოიცავს მთლიანად მუნიციპალიტეტს, რაც ხარისხობრივად გაზრდის სახელმწიფო თუ მუნიციპალური მომსახურეობის ხარისხსა და მათ ხელმისაწვდომობას ადგილებზე, თვისებრივად ახალ ეტაპზე გაიყვანს ადგილობრივ თვითმმართველობას და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ადგილებზე სწრაფი განვითარებისათვის.

ჩემო ძვირფასებო!

არ არსებობს იმაზე დიდი პატივი და პასუხისმგებლობა, ვიდრე ემსახურო მშობლიურ მუნიციპალიტეტს, კარგად ნაცნობ, განსაკუთრებით ღირსეულ ხალხს.

კარგად მესმის, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ განხორციელებული არაერთი სასიკეთო პროექტის მიუხედავად, ჩვენ წინაშე ჯერ კიდევ რჩება გამოწვევები. მოსახლეობა უფრო მეტ პროგრესს, მეტ ინფრასტრუქტურულ პროექტს მოელის ჩვენგან.

გამარჯვების შემდეგ ძალასა და ენერგიას არ დავიშურებ ადიგენის უკეთესი მომავლისათვის! ჩემს გუნდშიც, ყველას მყარად აქვს გათავისებული, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს ამოსავალი წერტილი ჩვენი ხალხი და საზოგადოების ინტერესებია.

გვაქვს რეალისტური ხედვა, როგორ ვაქციოთ ადიგენი ისეთ მუნიციპალიტეტად, რომელიც არამხოლოდ ჩვენთვის იქნება კომფორტული, მომხიბლავი და საინტერესო, არამედ სტუმრებზე, უცხოელ ტურისტებზეც წარუშლელ შთაბეჭდილებას დატოვებს.

ჩვენი ძალა ერთობაშია, ამ ერთობით კი აუცილებლად გავიმარჯვებთ!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.